ს.ს. „ხალიკ ბანკი საქართველო"

*დამტკიცებულია*
*სს „ ხალიკ ბანკი საქართველო"-ს დირექტორატის*
*2026 წლის 05 მარტის N34 გადაწყვეტილებით*

**Утверждены Решением Директората**
**АО «Халык Банк Грузия» №34 от 05 марта 2026 года**

**სს „ხალიკ ბანკი საქართველო"-ს სასაბარათე ინსტრუმენტის გამოყენების წესი**

**Правила использования карточного платежного инструмента АО «Халык Банк Грузия»**

1. ტერმინთა განმარტება

**1.1. ავტორიზაცია** - ემიტენტი ბანკის ან/და საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ან უარი ბარათით ან მისი რეკვიზიტებით ოპერაციის განხორციელებაზე. ავტორიზაციისას ხდება ბარათის მფლობელის ელექტრონული იდენტიფიკაცია, პინისა და ბარათის ნამდვილობის დადასტურება, ანგარიშზე შესაბამისი სახსრების დაბლოკვა/განბლოკვა;

**1.2. ბანკომატი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური თვითმომსახურების მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ოპერაციის წარმოება, როგორიცაა: საბარათე ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა;

**1.3. საბარათე სქემა** – საერთაშორისო საბარათე სქემები (Visa, MasterCard, და სხვა) და ლოკალური საბარათე სქემები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო წესების, ტექნიკური სტანდარტების და დანერგვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საბარათე ოპერაციის დამუშავება, ასევე იგი მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან პირს, რომელიც პასუხისმგებელია სქემის ფუნქციონირებაზე. საბარათე სქემა არ მოიცავს ტექნიკურ ინფრასტრუქტურას და საგადახდო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საბარათე ოპერაციის შესრულებას;

**1.4.საბანკო დღე** -ბანკის სამუშაო დღის პერიოდი რომლის განმავლობაშიც ბანკი აწარმოებს იურიდიული და ფიზიკური პირების მომსახურებას, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალურ დასვენების დღეებისა.

**1.5. საბანკო კრედიტი (შემდგომში - კრედიტი)** - საბარათე ოპერაციის განხორციელებისას მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან გამოყენებული ფულადითანხა.

**1.6. ბარათის დაბლოკვა** - ბარათის გამოყენებით საბარათე ოპერაციების განხორციელების აკრძალვა

1. Определение терминов

**1.1. Авторизация –** разрешение или отказ Банка эмитента, либо карточной платежной системы на осуществление операции посредством карты или его реквизитов. Во время авторизации происходит электронная идентификация владельца карты, действительности карты, блокирование/разблокирование соответствующих средств на счету.

**1.2. Банкомат –** электронное программно-техническое устройство самообслуживания, с помощью которого владелец карты может снимать/вносить денежную наличность и выполнять другие операции, такие как: получение информации о балансе на карточном счете, осуществление платежей и другое.

**1.3. Карточная схема** – международные карточные схемы (Visa, MasterCard и др.) и локальные карточные схемы, имеющие набор общих правил, технических стандартов и руководств по внедрению, на основе которых осуществляется обработка карточных транзакций, а также включает в себя орган, принимающий решения, или лицо, ответственное за функционирование схемы за исключением технической инфраструктуры и платежной системы, обеспечивающей выполнение карточной транзакции;

**1.4. Банковский день** – период времени в рамках рабочего дня Банка, в течение которого производится обслуживание физических и юридических лиц кроме субботы - воскресения и официальных нерабочих дней определенных законодательством Грузии

**1.5. Банковский кредит (в дальнейшем - Кредит)** - денежная сумма, использованная заемщиком из кредитного лимита при совершении карточных операций.

**1.6. Блокирование карты –** запрет на осуществление карточных операций с использованием карты;

**1.7. ბარათის გაცემა-** პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე ბარათისგადაცემას მისი მფლობელისათვის. .

**1.7. Выпуск карты (эмиссия)** – операция, предусматривающая выпуск и выдачу карты ее владельцу на основании соответствующего договора о выдаче;

**1.8. ბარათის მფლობელი** - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ბარათის გამოყენების უფლება ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად.

**1.8. Владелец карты –** физическое лицо, имеющее право пользоваться картой в соответствии с заключенным с Банком договором.

**1.9. ამონაწერი** - კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე ბანკის მიერ ფორმირებული ამონაწერი საბარათე ანგარიშიდან რომელიც ასახავს საბარათე ანგარიშზე, განხორციელებულ ოპერაციებს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

**1.9. Выписка** - выписка по карт-счету, формируемая Банком по запросу клиента, который отражает операции произведенные по карт-счету за определенный период времени;

**1.10. ბარათის შეცვლა** - პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს საბარათე ანგარიშზე ახალი ბარათის ემისიას ადრე გაცემული ბარათის სანაცვლოდ;

**1.10. Замена карты** – процедура которая предусматривает эмиссию выдачи новой карты по карт-счету взамен прежней/утраченной.

**1.11. განაცხადი** - კლიენტის მიერ ბანკში ბარათის დასამზადებლად წარდგენილი დადგენილი ფორმის მქონე განაცხადი. მაგალითად:

**1.11. Заявка** – заявка установленной формы, представляемое клиентом в Банк для выпуска карты, н.п.:

**1.12. საბარათე ინსტრუმენტი** – საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;

**1.12. Карточный платежный инструмент** –платежный инструмент, в том числе платежная карта, мобильный телефон, компьютер или другое технологическое устройство, в которое записано/ интегрировано соответствующее платежное приложение и посредством которого плательщик может инициировать операцию по карте;

**ამ დოკუმენტის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „ბარათი“ მოიცავს ყველა ტიპის საბარათე/საგადახდო ინსტრუმენტს.**

**Термин «карта», используемый в тексте настоящего документа, включает все виды карт/платежных инструментов.**

**1.13. სადებეტო ბარათი** – საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბანკო ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები;

**1.13. Дебетовая карта** – это карточный платежный инструмент, позволяющий ее владельцу управлять имеющимися на банковском счете доступными средствами на основании соглашения, заключенного с банком-эмитентом;

**1.14. დამატებითი ბარათი -** საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც გაიცემა კლიენტზე ან კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (შემდგომში - დამატებითი ბარათის მფლობელი) ანგარიშის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. დამატებით ბარათს და ძირითად ბარათს აქვთ საერთო საბარათე ანგარიში და გამოყენების საერთო ფულადი ლიმიტი. ანგარიშის მფლობელს შეუძლია შეზღუდოს დამატებითი ბარათის ფუნქციონირება. .

**1.14. Дополнительная карта** – карточный платежный инструмент, который выдается Клиенту или другому лицу (далее - Владелец дополнительной карты) на основании письменной заявки владельца карты. Дополнительная карта и основная карта имеют общий карточный счет и общий денежный лимит использования. Владелец карты имеет возможность ограничить функционирование дополнительной карты.

**1.15. საკრედიტო ბარათი** – საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები განახორციელოს ემიტენტის მიერ

**1.15. Кредитная карта** – карточный платежный инструмент, который в соответствии с условиями договора, заключенного с эмитентом, позволяет владельцу карты совершать операции в пределах предоставленного эмитентом кредитного лимита

მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ან/და საბარათე ანგარიშზე არსებული ბარათის მფლობელის კუთვნილი თანხის ფარგლებში, გარდა ოვერდრაფტისა;

и/или суммы, имеющейся на карточном счете владельца карты, за исключением овердрафта.

**1.16. ჩიპური ბარათი** - ინტეგრალური მიკროსქემის (მიკროჩიპი) მქონე საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გადახდებს.

**1.17. უკონტაქტო ბარათი–** საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც ინფორმაციას გადასცემს უკონტაქტო გადაცემის ტექნოლოგიით; უკონტაქტო გადახდის ფუნქცია ზრდის ტრანზაქციების კომფორტს და უსაფრთხოებას მაგნიტურ ზოლიან ბარათებთან შედარებით.

**1.16. Чиповая и/или бесконтактная карта** - платежный карточный инструмент со встроенной интегральной микросхемой (микрочип), обеспечивающее безопасность платежей.

**1.17. Бесконтактная карта** – это платежное средство, передающее информацию с использованием бесконтактной технологии; Функция бесконтактной оплаты повышает удобство и безопасность транзакций по сравнению картами с магнитной полосой.

**1.18. ძირითადი ბარათი -** საბარათე ანგარიშის მფლობელის (ფიზიკური ან იურიდიული პირის) სახელზე გაცემული პირველადი პლასტიკური ან ვირტუალური ბარათი.აღნიშნული ბარათი იძლევა ანგარიშზე არსებული სახსრების სრული მართვის უფლებას

**1.18. Основная карта** – это основная пластиковая или виртуальная карта, выданная на имя владельца карточного счета (физического или юридического лица).Указанная карта позволяет полностью использовать средства , имеющиеся не счете.

**1.19. კორპორატიული (ბიზნეს) ბარათი** - საბარათე ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც მფლობელი ფიზიკური პირი განკარგავს იურიდიული პირის სახსრებს და აწარმოებს კანონმდებლობით ნებადართულ ოპერაციებს;კორპორატიული ბარათით შესრულებულ ოპერაციებზე პასუხს აგებს მისი მფლობელი იურიდიული პირი.

**1.19. Корпоративная (бизнес) карта** – карточный инструмент, с помощью которого владелец, физическое лицо, управляет средствами юридического лица и осуществляет операции, разрешенные законом;Ответственность за операции, выполненные посредством корпоративной карты несет его владелец – юридическое лицо.

**1.20. ვირტუალური ბარათი** – ბარათის ფიზიკურად არსებობის გარეშე ბარათის რეკვიზიტების (სულ მცირე, ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობა, რომლის საშუალებით ავთენტიფიკაციის შესაბამისი ზომების დაცვით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;

**1.20. Виртуальная карта** – Набор данных карты (как минимум номер карты, срок действия и код безопасности) без физического наличия самой карты, позволяющий держателю карты совершать платежи с соблюдением соответствующих мер аутентификации, согласно договору, оформленному с эмитентом.

**1.21. საბარათე ოპერაცია** - საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდის, ნაღდი ფულის მიღების, საბარათე გადარიცხვის, ვალუტის გაცვლის და სხვა ოპერაციები, რაც განსაზღვრულია ბანკის მიერ და შეთავსებულია მისი პირობების შესაბამისად ბარათის გამოყენებასთან.

**1.21. Карточная операция** – оплата товаров и услуг, получение наличных денег, обмен валюты, платежи посредством банкомата, получение выписок по карт-счету посредством банкомата, оплата таможенных платежей, зачисление денег на карт-счет и другие операции, определенные Банком и на его условиях, совершаемые с использованием карты;

**1.22.საბარათე ანგარიში-** ემიტენტი ბანკის მიერ კლიენტისათვის, ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი საბანკო ანგარიში, საბარათე ოპერაციების ასახვისათვის;

**1.22. Карт-счет –** банковский счет, открываемый Банком эмитентом клиенту на основании договора для отражения банковских операций;

**1.23. ელექტრონული საფულე** (e-wallet)- (ელექტრონული ფულის ანგარიში), მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი (Apple Pay/Google Pay), რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს განახორციელონ

**1.23 Электронный кошелек** (e-wallet) — (счет электронных денег), мобильная/цифровая платежная система/сервис (Apple Pay/Google Pay), позволяющая пользователям совершать платежи с использованием карт, зарегистрированных на

გადახდა მოწყობილობაში რეგისტრირებული ბარათების გამოყენებით; გადახდების შესრულება შესაძლებელია ყველგან: სავაჭრო ობიექტებში (უკონტაქტო Visa PayWave, Mastercard PayPass გადახდების პარალელურად), ვებ აპლიკაციებში, ინტერნეტ მაღაზიებში.

устройстве; платежи можно совершать везде: в торговых объектах (параллельно с бесконтактными платежами Visa PayWave, Mastercard PayPass), в веб-приложениях, в интернет-магазинах.

**1.24. თოქენი** - ბარათის უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. საერთაშორისო საგადახდო სისტემის (საბარათე სქემის) სერვისი, 16 ნიშნა ბარათის PAN-ს გარდაქმნის უნიკალურ იდენტიფიკატორად - თოქენად, მისი საშუალებით შესაძლებელია გადახდის ოპერაციების შესრულება. თოქენზე ვრცელდება კლიენტის ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია საგადახდო/საბარათე ინსტრუმენტთან.

**1.24. Токен** - уникальный цифровой идентификатор карты, который генерируется и хранится на электронном устройстве с функцией оплаты с использованием соответствующего программного обеспечения. Международная платежная система (карточная система) преобразует 16-значный номер карты (PAN) в уникальный идентификатор — Токен, с помощью которого можно совершать платежные операции. На Токен распространяются все требования безопасности и обязательства которые, связанны с платежными/карточными инструментами.

**1.25 ციფრული ბარათი** - საბანკო ბარათის ციფრული ანალოგი, რომელიც არ არსებობს მატერიალური სახით და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბანკის დისტანციურ არხებში (ინტერნეტ და მობაილ ბანკები), ციფრულ საფულეებში დამატების გზით, საბარათე გადახდების შესასრულებლად ან/და შესაბამისი ფუნქციონალის მქონე ბანკომატებიდან თანხის გასანაღდებლად

**1.25.** Цифровая карта - цифровой аналог банковской карты, который не существует в материальном виде и который может использоваться в удаленных каналах банка (Интернет и мобильные банки), для совершения карточных платежей путем добавления цифровых кошельков и / или для снятия наличных денег через банкоматы с соответствующим функционалом.

1.**26. საკრედიტო ლიმიტი** - ბანკის მიერ მსესხებლისათვის შეთავაზებული საკრედიტო ხაზის მოცულობა საბარათე ოპერაციების განსახორციელებლად.

**1.26. Кредитный лимит** – размер кредитной линии, предоставляемой Банком заёмщику для проведения карточных операций.

**1.27. საბარათე ტრანზაქცია** - ოპერაციის, ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების ერთობლიობა ბარათის მოხმარების დროს;

**1.27. Карточная транзакция** - совокупность операций, авторизации и последующего расчета при использовании карты;

**1.28. არაკანონიერი ოპერაცია** - არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ოპერაცია ან დაკარგული ბარათით განხორციელებული ოპერაცია, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უკანონო ოპერაცია;

**1.28. Незаконная операция** - операция, совершенная неавторизованным лицом или операция, совершенная утерянной картой, а также незаконная операция, предусмотренная законодательством Грузии;

**1.29. ოვერდრაფტი** – მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა. ბანკი უშვებს კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო (უარყოფითი) სალდოს არსებობას, ოვერდრაფტის შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების (თანხობრივი მოცულობა, დაფარვის ვადა და საპროცენტო განაკვეთი) გათვალისწინებით;

**1.29. Овердрафт** - форма краткосрочного кредитования. Банк допускает наличие дебетового (отрицательного) сальдо на расчетном счете Клиента, с учетом условий договора об овердрафте (объем денежной суммы, срок покрытия и процентная ставка), заключенного междуБанком и Клиентом;

**1.30. არასანქცირებული ოვერდრაფტი** - საბარათე ანგარიშზე, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე წარმოქმნილი ოვერდრაფტი.

**1.30. Несанкционированный овердрафт –** создание (подключение) овердрафта на карточном счете без предварительного согласия Банка.

**1.31. ორგანიზაცია** - იურიდიული პირი (სახელფასო პროექტის ფარგლებში ჩართული ორგანიზაცია) რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე არის კლიენტის დამსაქმებელი და რომელმაც დადო ბანკთან ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ, რაც არეგულირებს ბარათის მეშვეობით კლიენტისათვის საბანკო სერვისების მიწოდებას.

**1.31. Организация –** юридическое или иное лицо (организация, включенная в рамках зарплатного проекта), являющееся работодателем клиента на основании трудового договора и заключившее с Банком договор о банковском обслуживании, которое регулирует предоставление клиенту банковского сервиса.

**1.32. პინი** – ბარათის მფლობელის პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის ერთ-ერთი ელემენტი;

**1.32. ПИН –** Персональный Идентификационный Номер владельца карты, который используется в качестве одного из элементов аутентификации владельца карты;

**1.33. სავაჭრო ობიექტი (Merchant)** - გადასახადის გადამხდელი ფიზიკური ან იურიდიული პირი , რომელიც იღებს საბარათე გადახდებს მის მიერ შეთავაზებული მომსახურებისა ან/და საქონლის ღირებულების ანაზღაურების მიზნით უნაღდო ანგარიშსწორების გზით

**1.33. Торговый объект(Merchant) -** физическое или юридическое лицо - налогоплательщик, получающее карточные платежи по безналичномурасчету, с целью оплаты предложенных им услуг и/или стоимости товара;

**1.34. საპროცესინგო ცენტრი** - დამოუკიდებელი იურიდიული პირი, პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსი, რომლის საქმიანობაც მოიცავს საბანკო ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), დამუშავებას და დამუშავებული ინფორმაციის გადაცემას ანგარიშსწორების ყველა მონაწილისათვის ;

**1.34.Процессинговый центр Банка -** независимое юридическое лицо, программно-технический комплекс, к деятельности которого относится получение (сбор), обработка информации об операциях, осуществляемых с использованием банковских карт, и передача обработанной информации всем участникам расчетов.

**1.35. დისტანციური საბანკო მომსახურება** - ბანკის საგადახდო ბარათების დისტანციური მომსახურებებია:

1.34.1. ინტერნეტ ბანკინგი

1.34.2. მობაილ ბანკინგი

1.34.3. სმს ბანკინგი

1.34.4. გადახდის აპარატებით მომსახურება

1.34.5. მუდმივი დავალება

1.34.6. სხვა ალტერნატიული არხებით შეთავაზებული მომსახურება

**1.35. «Дистанционное обслуживание» -** дистанционные услуги платежных карточек Банка:

1.34.1. интернет-банкинг;

1.34.2. мобильный банкинг;

1.34.3. СМС-банкинг;

1.34.4. обслуживание платежными аппаратами;

1.34.5. постоянное задание;

1.34.6. услуги, предлагаемые другими альтернативными каналами

**1.36. სტოპ-ლისტი** - ბარათების სია, რომლებზედაც არ დაიშვება ტრანზაქცია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

**1.36. Стоп-лист** - список карточек, по которым транзакция не разрешается, и распространяется специальный режим обслуживания.

**1.37. ტარიფები** - ბანკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დაწესებული ტარიფები მომსახურებაზე, რომელიც მოიცავს ბარათის გამოშვების, წლიური მომსახურების, თნხის განაღდების, ვალუტის კონვერტაციისა და სხვა საკომისიო გადასახადებს. ტარიფები განსხვავდება ბარათის ტიპის მიხედვით და რეგულირდება ბანკის მიერ.

**1.37. Тарифы** - Установленные уполномоченным органом Банка тарифы на услуги, включая выпуск карты, ежегодное обслуживание, снятие денежной наличности, конвертацию валюты и другие сборы. Тарифы отличаются в зависимоти от типа карты и регулируется Банком.

**1.38. ექვაირინგი** - ბანკის ან სხვა ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მოიცავს მიმღებთან( სავაჭრო /მომსახურების

**1.38. Эквайринг** – Деятельность банка или другой организации, включающая в себя расчеты по карточным

ობიექტთან) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ბარათებით წარმოებულ ოპერაციებზე ანგარიშსწორების განხორციელებას, ან/და ბარათებიდან ნაღდი თანხების გაცემას და დამუშავებას, რის შედეგადაც ფულადი სახსრები გადაირიცხება მიმღებთან;

операциям на основании договора, заключенного с получателем (торговым/обслуживающим объектом), и/или выпуск и обработку денежных средств с карт, в результате чего средства переводятся получателю;

**1.39. ექვაიერი**- ექვაირინგის განმახორციელებელი ბანკი (ან სხვა ორგანიზაცია), რომელსაც აქვს სათანადო ლიცენზია (ან ლიცენზირებულ ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებული აქვს ექვაირინგის უფლება);

**1.39.Эквайер** – Банк (или другая организация), осуществляющий эквайринг, имеющий соответствующую лицензию (или получившее право на осуществление эквайринга на основании договора с лицензированным банком).

**1.40. ემიტენტი** - ბანკი (ან სხვა ორგანიზაცია), რომელიც ახდენს საბარათე ინსტრუმენტის გამოშვებას, რომლითაც შესაძლებელია გადახდის ოპერაციის ინიციირება.

**1.40. Эмитент** – Провайдер, выпускающий карточные платежные инструменты, которые могут быть использованы для инициирования платежных операций.

**1.41. CVV2-კოდი ან CVC2-კოდი**- სამნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ენიჭება ბარათის მფლობელს და რომელიც განკუთვნილია ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისათვის მოსახურებისა და საქონლის ღირებულების ინტერნეტში გადახდისათვის. CVV2-კოდი ან CVC2- კოდის დატანა ხდება ბარათის ზედაპირზე.

**1.41. CVV2-код или CVC2-код** – идентификационный трехзначный код,присваиваемый владельцу карты и предназначенный для идентификации владельца карты при оплате товаров и услуг в сети интернет. CVV2-код или CVC2-код наносится на поверхность карты;

**1.42. ტერმინალი** -- საბარათე ინსტრუმენტის წამკითხავი ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე ინსტრუმენტით გადახდის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/ მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად (გარდა ელექტრონული კომერციის ოპერაციისა) შესაძლოა მოიცავდეს ნაღდი ფულის გატანასაც;

**1.42. Терминал** — электронное устройство, считывающее карточный платежный инструмент и используемое для осуществления платежей с помощью карточного платежного инструмента в торговых/обслуживающих обхектах, которое, помимо оплаты товаров/услуг (за исключением операций электронной коммерции), может также включать снятие денежной наличности;

**1.43. ვირტუალური ტერმინალი** - ელექტრონული კომერციის ტერმინალი, რომელიც გამოიყენება ონლაინ ტრანზაქციაზე ავტორიზაციის მისაღებად. რომლის საშუალებით ინტერნეტსივრცეში ხორციელდება ელექტრონული კომერციის ობიექტის სასარგებლოდ საბარათე ოპერაცია, ასევე, ოპერაციის გაუქმების და თანხის დაბრუნების ოპერაციები;

**1.43. Виртуальный терминал** - терминал электронной коммерции, используемый для получения авторизации на онлайн-транзакцию. Через него осуществляются карточные транзакции в пользу субъекта электронной коммерции в интернет-пространстве, а также операции по отмене транзакций и возврату средств.

**1.44. არაავტორიზებული ტრანზაქცია** - ოპერაცია, რომელიც სრულდება უკანონოდ მოპოვებული ბარათის სენსიტიური მონაცემებისთ. ბარათის მფლობელის თანხმობისა და და ნებართვის გარეშე. ეს არის თაღლითური ქმედება, როდესაც მესამე პირი უკანონოდ იყენებს ბარათის მონაცემებს.

**1.44. Неавторизованная транзакция** - Операция, выполненная с использованием незаконно полученных чувствительных данных карты, без согласия и разрешения держателя карты. Это мошенническое действие, при котором третье лицо незаконно использует данные карты.

**1.45. P2P გადარიცხვის ოპერაცია** - მობილ ბანკის მეშვეობით კლიენტის მიერ ინიცირებული: ბანკის მიერ

**1.45. P2P перевод** — операция перевода денежных средств в национальной валюте, инициированная клиентом через

ემიტირებული ბარათიდან, მიმღების ბარათის ნომრის მითითებით., საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ბარათზე, ეროვნულ ვალუტაში თანხის გადარიცხვის ოპერაცია;

мобильный банк с карты, эмитированной банком, с указанием номера карты получателя, на карту, эмитированную финансовыми учреждениями, действующими на территории Грузии.

**1.46. რეკურენტული გადახდები** - კლიენტის და მერჩანტის შეთანხმების საფუძველზე, კლიენტის საბარათე ანგარიშიდან, მერჩანტის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობითა და განსაზღვრული ვადით განხორციელებული გადახდები. კლიენტის მიერ მერჩანტისათვის ერთჯერადად მიწოდებული საბარათე მონაცემების საფუძველზე, საგადახდო დავალების შესაბამისად.

**1.46. Рекуррентные платежи** - Платежи, производимые на основании соглашения между Клиентом и Мерчантом, с карточного счета Клиента, с затребованной мерчантом периодичностью и определенным им сроком, на основании данных карты, предоставленных в одноразовом порядке Клиентом Мерчанту в соответствии с платежным поручением

**1.47. ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე; ანუ საბარათე ოპერაცია, რომელიც არ არის ავტორიზებული ემიტენტი ბანკის მიერ.

**1.47. Офлайн-операция** - операция, которая подтверждается или отклоняется без контакта с эмитентом, карточная операция, которая не авторизована банком-эмитентом

**1.48. ონლაინ ოპერაცია - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან** უარყოფილია ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

**1.48. Онлайн-транзакция** - операция, которая подтверждена или отклонена эмитентом или соответствующей схемой карты от имени эмитента;

**1.49. 3D უსაფრთხოების სერვისი** - 3D Secure პროტოკოლზე აგებული სერვისი, რომლის საშუალებით ემიტენტი ელექტრონული კომერციის ტერმინალის მეშვეობით ინიცირებულ საბარათე ოპერაციაზე დასტურს გასცემს მხოლოდ ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის განხორციელების შემდეგ;

**1.49. 3D Сервис безопасности** - сервис, построенный на протоколе 3D Secure, посредством которого эмитент выдает подтверждение транзакции по карте, инициированные через терминал электронной коммерции, только после аутентификации владельца карты;

**1.50. სენსიტიური საგადახდო მონაცემი** – მონაცემები, მათ შორის, უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია თაღლითური ოპერაციის განხორციელება. ემიტენტი ბანკის მიერ განხორციელებული მომსახურებისთვის საგადახდო ანგარიშის მფლობელის სახელი და საგადახდო ანგარიშის ნომერი არ წარმოადგენს სენსიტიურ საგადახდო მონაცემს;

**1.50 Чувствительные платёжные данные** — данные, включая персонализированные характеристики безопасности, с помощью которых возможно осуществление мошеннической операции. Имя владельца платёжного счёта и номер платёжного счёта не являются чувствительными платёжными данными в рамках услуг, предоставляемых банком эмитентом

**2. ზოგადი დებულებანი**

2.1. ბარათი არის ბანკის საკუთრება. ბარათი მოქმედებს მასზე მითითებული ვადის ფარგლებში. ვადაგასულ ბარათებზე საბარათე ოპერაციები არ სრულდება.

2.2. ბარათის მოქმედების წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, Visa/

**2. Общие положения.**

2.1. Карта является собственностью Банка. Карта действительна в течение указанного на ней срока. По просроченным картам карточные операции не проводятся;

2.2. Порядок и условия действия карты регулируется законодательством Грузии, правовыми нормами

MasterCard-ის სამართლებრივი ნორმებით, ბანკთან დადებული ხელშეკრულებებითა და წინამდებარე წესებით; ყოველი ზემოთჩამოთვლილი ნორმა წარმოადგენს კლიენტთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

2.3. ბანკი იტოვებს უპირობო უფლებას:

- უარი განაცხადოს იმ საბარათე ოპერაციის განხორციელებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესების, ასევე საერთაშორისო საბარათე სქემების სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს;
- უარი განაცხადოს ბარათის გაცემასა და განახლებაზე ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე;
- საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს მინიმალური შეუმცირებელი ნაშთის არსებობა საბარათე ანგარიშზე, რომლის ოდენობა დგინდება ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილებით. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება საბარათე ინსტრუმენტის მიღებაზე განაცხადის გაკეთებისას.

2.4. კლიენტი ვალდებულია დაიცვას მისთვის გაცემული საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა; მიიღოს შესაბამისი ზომები მისი დაკარგვის, მოპარვის, უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ ბანკს და დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათი. ბარათის დაკარგვა ან მოპარვა წარმოადგენს კლიენტის ბრალეულობას და შეიძლება განხილულ იქნას ბანკის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების კლიენტის მხრიდან დარღვევად, რომლის საფუძველზეც ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს საბარათე ანგარიშის მომსახურება.

2.5 კლიენტს შეუძლია:

- ბარათის მეშვეობით თანხის გადახდა ან/და გადარიცხვა;
- მიიღოს შეტყობინებები ყველა ოპერაციაზე, ავტორიზებულ მოთხოვნებზე, ფინანსურ ოპერაციებზე, დასახარჯად ხელმისაწვდომ ლიმიტზე;
- მიიღოს ან ნახოს საბარათე ანგარიშის ამონაწერი;
- განახორციელოს ბარათის დაბლოკვა;

Visa/MasterCard, заключенными с Банком договорами и настоящими Правилами; Каждое из вышеуказанных положений является неотъемлемой частью Генерального договора, подписанного с Клиентом

2.3. Банк оставляет за собой безусловное право:

- отказать в проведении карточной операции, которая противоречит требованиям законодательства Грузии, настоящих Правил, а также правовым нормам международных карточных схем;
- отказать в выдаче и обновлении карты без указания каких-либо причин;
- требовать от клиента минимальный неснижаемый остаток на карточном счете на протяжении срока годности карточного инструмента. Размер минимального неснижаемого остатка определяется соответствующим решением Банка. При использовании данного полномочия, детальная информация предоставляется клиенту, при подаче заявки на получение карточного инструмента.

2.4. Клиент обязан соблюдать меры безопасности выданного ему карточного инструмента, обеспечить защиту персонализированных средств этого инструмента; принять соответствующие меры в случае ее утери, кражи, обнаружения факта незаконного использования, уведомить банк в кратчайшие сроки после его обнаружения и немедленно заблокировать карту. Потеря или кража карты является виной Клиента и может рассматриваться Банком как нарушение соответствующего договора Клиентом, на основании которого Банк имеет право прекратить обслуживание карточного счета.

2.5 Клиент может:

- Оплатить и/или перевести деньги с помощью карты;
- получать уведомления обо всех операциях, авторизованных запросах, финансовых транзакциях, доступных лимитах для расходов;
- получать или просматривать выписку по карточному счету;
- Заблокировать карту;

- ბანკისგან საინფორმაციო შეტყობინებების მიღება;

- получать информационные сообщения от банка;

**3. სხვა ოპერაციები.**

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი ან რამოდენიმე საბარათე ინსტრუმენტი, რომელთა ტიპი განისაზღვრება კლიენტის მიერ ყოველ კონკრეტულ ინსტრუმენტთან დაკავშირებით ხელმოწერილი განაცხადით, რომელიც წარმოადგენს კლიენტთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. ერთი იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელზე შესაძლებელია დამზადდეს ერთი ან რამდენიმე კორპორატიული (ბიზნეს) ბარათი. თითოეული ბიზნეს ბარათის დამზადების მოთხოვნა ბანკში უნდა დააფიქსიროს ანგარიშის მფლობელმა იურიდიულმა/მეწარმე ფიზიკურმა პირმა.

**3. Другие операции.**

3.1. В рамках Договора, Клиент может принять один или несколько платежных инструментов, тип которых определяется Клиентом в заявке, подписанной в связи с каждым конкретным инструментом, которая является неотъемлемой частью Генерального Договора, заключенного с Клиентом.

3.2. На имя одного юридического лица или предпринимателя может быть изготовлена одна или несколько корпоративных (бизнес) карточек. Заявление на изготовление каждой бизнес карты должно быть зарегистрировано в Банке юридическим лицом/предпринимателем, который владеет счетом.

**4. ბარათის გაცემისა და შენახვის წესი**

4.1. ბანკი გასცემს დამზადებულ ბარათს უშუალოდ ბარათის მფლობელზე ან მის რწმუნებულზე, რომელიც მოქმედებს ბარათის მფლობელის მიერ გაცემული დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარდგენის აუცილებლობა დგინდება ბანკის მიერ. ბარათის მიღებისას მფლობელი ხელს აწერს ბარათის მეორე მხარეზე ხელმოწერისათვის სპეციალურად განკუთვნილ ველზე.

4.2. კლიენტის წერილობითი თანხმობით/განაცხადით დასაშვებია საბარათე ანგარიშთან/ებთან დაკავშირებული დამატებითი საბარათე ინსტრუმენტების დამზადება და გაცემა. დამატებითი ბარათი მზადდება კლიენტის მიერ დასახელებული სხვა პირისთვის, განაცხადს ხელს აწერს როგორ ძირითადი ბარათის/ანგარიშის მფლობელი, ისე დამატებითი ბარათის მფლობელი უშუალოდ ბანკის ოფისში.

4.2.1. ბიზნეს ბარათის დამატებითი ბარათი შესაძლებელია დამზადდეს იურიდიული პირის/მეწარმე ფიზიკური პირის განაცხადის საფუძველზე. მისი გადაცემა ხდება უშუალოდ ბარათის მფლობელზე ან ძირითადი ანგარიშის მეპატრონეზე ან მის უფლებამოსილ ან მინდობილ პირზე.

**4. Порядок выдачи и хранения карты**

4.1. Банк выдает готовую карту и ПИН-конверт непосредственно владельцу карты либо его доверенному лицу, действующему на основании доверенности выданной владельцем карты, необходимость предоставления доверенности, заверенной в нотариальном порядке, устанавливается Банком. При получении карты Владелец ставит свою подпись в специально предусмотренном для этого поле на оборотной стороне карты.

4.2 По письменному согласию/заявке Клиента разрешено производить и выпускать дополнительные карточные инструменты, связанные с карточным счетом/счетами. Дополнительная карта подготавливается для другого лица, названного Клиентом, заявка подписывается как владельцем основной карты/счета, так и владельцем дополнительной карты непосредственно в офисе Банка.

4.2.1. Дополнительная бизнес карта к бизнес карте, может быть оформлена по заявлению юридического лица/предпринимательского физического лица. Он передается непосредственно владельцу карты либо владельцу основного счета или его уполномоченному или доверенному лицу.

4.3. აკრძალულია ბარათის და მასზე დატანილი მონაცემების (ბარათის ნომერი, ვადა და CVV2/CVC2) სხვა პირებზე გადაცემა გირავნობის საგნად ან რაიმე სხვა მიზნით.

4.3. Передача карты и нанесенных на ней данных (номер карты, срок и CVV2 / CVC2) другим лицам в качестве залога или в любых других целях - запрещается.

4.4 არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი ბარათი ექვემდებარება ჩამორთმევას.

4.4. Карта, предъявленная неуполномоченным лицом, подлежит изъятию.

4.5 საბანკო ბარათის დაზიანებისგან დასაცავად, აუცილებელია მისი დაცვა მექანიკური (გაფხაჭნა, გატეხვა), ელექტრომაგნიტური და თერმული ზემოქმედებისგან.

4.5 Для предотвращения повреждения банковской карты необходимо защитить ее от механических (царапины, поломки), электромагнитных и тепловых воздействий.

**5. ძირითადი რეკომენდაციები:**

- შეინახეთ ბარათი საფულეში ან ბარათის ჩასადებში, რათა არ მოხდეს მისი გაღუნვა, გატეხვა, ინტეგრირებული ჩიპის ან მაგნიტური ზოლის დაზიანება.

**5. Основные рекомендации:**

- Храните карту в кошельке или держателе для карт, чтобы предотвратить ее сгибание, поломку или повреждение интегрированного чипа и  магнитной полосы.

მოარიდეთ ძლიერ მაგნიტებს, დინამიკებს და სხვა ელექტრონულ მოწყობილობებს, რამაც შესაძლოა წაშალოს ინფორმაცია მაგნიტური ზოლიდან

- მოერიდეთ ბარათის დატოვებას მზის პირდაპირ სხივებზე (მაგ. ავტომობილის დაფაზე) ან მაღალ ტემპერატურაზე, რამაც შეიძლება პლასტიკის დეფორმაცია გამოიწვიოს.
-
- საჭიროების შემთხვევაში, გაწმინდეთ ბარათი მშრალი, რბილი ქსოვილით. არ გამოიყენოთ ქიმიური ხსნარები.

Держите карту подальше от сильных магнитов, динамиков и других электронных устройств, которые могут стереть информацию с магнитной полосы.

- Избегайте оставлять карту под прямыми солнечными лучами (например, на приборной панели автомобиля) или при высоких температурах, так как это может привести к деформации пластика.
-
- При необходимости протрите карту сухой мягкой тканью. Не используйте химические растворы.

